

2016 იანვარი

ტესტი

I ნაწილი

ინსტრუქცია

მასწავლებელთა საგნობრივი ტესტი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ორი ტიპის დავალებებს შეიცავს:

- (1) **დავალებები არჩევითი პასუხებით** – ამ ტიპის თითოეულ დავალებას ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.
- (2) **დავალებები ღია დაბოლოებით** – ამ ტიპის თითოეული დავალება თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

** თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

გისურვებთ წარმატებას!

თქვენ სამუშაოდ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და შავი სამუშაოსათვის დატოვებულია თავისუფალი ადგილი, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. **თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს პირველი დავალებისთვის წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები. თუ თქვენ შეცდომით მონიშნავთ პასუხს, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ შეცდომა.

ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები. თუ თქვენ დანარჩენ უჯრებს ცარიელს დატოვებთ (როგორც მესამე დავალებაში), ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება 0 ქულით შეფასდება.

	1.	2.	3.	4.	5.
ა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ღიადაბოლოებიანი დავალების პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. გაითვალისწინეთ, ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელსაც გამოცდის დაწყებამდე გადმოგცემენ.

დავალება 1

HDD (ვინჩესტერი) არის:

- (ა) მცირე მოცულობის მეხსიერება, რომელიც პროცესორისთვის საჭირო ინფორმაციას ინახავს.
 - (ბ) მოწყობილობა, რომელიც მონაცემების შესანახად და წასაკითხად მაგნიტურ დისკებს იყენებს.
 - (გ) მოწყობილობა, რომელიც მონაცემების დროებით შესანახად ნახევარგამტარებს იყენებს.
 - (დ) მეხსიერება, რომელიც მონაცემთა ერთჯერადი ჩაწერისათვის გამოიყენება.
-

დავალება 2

ერთ კომპიუტერულ ქსელში ჩართულ მოწყობილობებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი:

- (ა) IP მისამართი
 - (ბ) DNS მისამართი
 - (გ) Gateway მისამართი
 - (დ) ადმინისტრატორის პაროლი
-

დავალება 3

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საძიებო სისტემა?

- (ა) Google
 - (ბ) Yahoo
 - (გ) Opera
 - (დ) Bing
-

დავალება 4

ჩამოთვლილთაგან რომელია პროგრამირების ენა?

- (ა) ბრუნო
 - (ბ) გალილეი
 - (გ) დეკარტე
 - (დ) პასკალი
-

დავალება 5

IBM იმიფრება, როგორც:

- (ა) International Business Machines
 - (ბ) Internet Business Machines
 - (გ) International Basic Machines
 - (დ) Internet Base Machines
-

დავალება 6

ჩამოთვლილთაგან რომელ მატარებელზეა ჩაწერილი მუსიკა ანალოგური სახით?

- (ა) CD-ზე
 - (ბ) DVD-ზე
 - (გ) Vinyl Disc-ზე
 - (დ) USB Flash-ზე
-

დავალება 7

ჩამოთვლილი პროგრამული პროდუქტებიდან რომელია უფასო?

- (ა) Adobe Photoshop
 - (ბ) Norton Antivirus
 - (გ) Microsoft Word
 - (დ) Google Chrome
-

დავალება 8

MS Access წარმოადგენს მაიკროსოფტის მიერ შემუშავებულ:

- (ა) უსაფრთხოების მოდულს
 - (ბ) სამაგიდო მონაცემთა ბაზას
 - (გ) მომხმარებელთა დაშვების მოდულს
 - (დ) ინტერნეტზე წვდომის პროტოკოლს
-

დავალება 9

კომპიუტერის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფაა:

- (ა) ოპერაციული სისტემა
 - (ბ) ტექსტური რედაქტორი
 - (გ) ვიდეობარათის დრაივერი
 - (დ) ქსელის ბარათის დრაივერი
-

დავალება 10

რომელ წელს გამოვიდა ოფიციალურად Windows 10?

- (ა) 2014-ში
 - (ბ) 2012-ში
 - (გ) 2010-ში
 - (დ) 2008-ში
-

დავალება 11

სპამი (spam) არის:

- (ა) ელექტრონული წერილები, რომლებიც ვირუსს შეიცავს.
 - (ბ) წერილები ან მესიჯები, რომლებსაც გამომგზავნად არარსებული მისამართი აქვს მითითებული.
 - (გ) დიდი რაოდენობით წერილები ან მესიჯები, რომლებიც სერვერის გადატვირთვის მიზნით იგზავნება.
 - (დ) პოტენციურად საფრთხის შემცველი ელექტრონული წერილები, რომლებიც მიმღებს არ მოუთხოვია ან არ გამოუწერია.
-

დავალება 12

პერსონალური კომპიუტერის რომელი კომპონენტი მდებარეობს დედაპლატაზე?

- (ა) მყარი დისკი (HDD)
 - (ბ) კვების ბლოკი (PSU)
 - (გ) ცენტრალური პროცესორი (CPU)
 - (დ) კომპაქტდისკის წამკითხველი (CD-ROM)
-

დავალება 13

პროგრამები ინფორმაციას თავიანთი შესრულების მიმდინარეობის შესახებ, როგორც წესი, ინახავენ:

- (ა) log ფაილებში
 - (ბ) ini ფაილებში
 - (გ) cmd ფაილებში
 - (დ) htm ფაილებში
-

დავალება 14

მონიტორის ერთ-ერთი მახასიათებელი პარამეტრია ჰორიზონტალური პიქსელების რაოდენობის შეფარდება ვერტიკალურთან. თანამედროვე მონიტორებში ამ პარამეტრის მნიშვნელობაა:

- (ა) 7:3
 - (ბ) 15:8
 - (გ) 16:9
 - (დ) 21:10
-

დავალება 15

ბლუთუსი (bluetooth) წარმოადგენს:

- (ა) მონაცემთა გაცვლის უსადენო ტექნოლოგიას
 - (ბ) მონაცემთა ლაზერით ჩაწერა/წაკითხვის ტექნოლოგიას
 - (გ) ბლურეი (blue-ray) დისკების წაკითხვის ტექნოლოგიას
 - (დ) მობილური ტელეფონის დისტანციურად დამუხტვის ტექნოლოგიას
-

დავალება 16

ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს კომპანია Adobe-ს პროდუქტს?

- (ა) Acrobat Reader
 - (ბ) Photoshop
 - (გ) 3ds Max
 - (დ) Flash
-

დავალება 17

ჩამოთვლილთაგან რომელია ფერების მოდელის აღმწერი შემოკლება?

- (ა) CWY
 - (ბ) DVB
 - (გ) CMYK
 - (დ) CCTV
-

დავალება 18

ჩამოთვლილთაგან რომელი კლავიში ან კლავიშების კომბინაცია გამოიყენება უფრო ხშირად კომპიუტერის BIOS-ში შესასვლელად?

- (ა) Alt-Ctrl-Del
 - (ბ) Alt
 - (გ) Ctrl
 - (დ) Del
-

დავალება 19

ჩამოთვლილთაგან რომელია ფაილური სისტემები?

- (ა) FAT8 და FAT16
 - (ბ) FAT16 და FAT32
 - (გ) FAT32 და FAT64
 - (დ) FAT64 და FAT128
-

დავალება 20

რის შესაერთებლად გამოიყენება PS/2 პორტი?

- (ა) კლავიატურისა და მონიტორის
 - (ბ) კლავიატურისა და მაუსის
 - (გ) მხოლოდ პრინტერის
 - (დ) მხოლოდ მონიტორის
-

დავალება 21

ჩამოთვლილთაგან რომელი რედაქტორი მოითხოვს მეხსიერების ყველაზე ნაკლებ რესურსს?

- (ა) Wordpad
 - (ბ) Word
 - (გ) Notepad
 - (დ) OpenOffice Writer
-

დავალება 22

http და https პროტოკოლების შესახებ მოცემული დებულებებიდან რომელია მართებული?

- (ა) http მოითხოვს კლიენტსა და სერვერს შორის გაცვლილი ინფორმაციის დაშიფვრას.
 - (ბ) https მოითხოვს კლიენტსა და სერვერს შორის გაცვლილი ინფორმაციის დაშიფვრას.
 - (გ) http მოითხოვს კლიენტის აუცილებელ ავტორიზაციას სერვერზე.
 - (დ) https მოითხოვს კლიენტის აუცილებელ ავტორიზაციას სერვერზე.
-

დავალება 23

ჩამოთვლილთაგან რომელი არ იქნება ინტერნეტსაიტის IP მისამართი?

- (ა) 23.235.43.73
 - (ბ) 46.228.47.114
 - (გ) 173.194.113.113
 - (დ) 185.275.40.241
-

დავალება 24

თექვსმეტობით სისტემაში გაკეთებულ ჩანაწერს „11“ ათობით სისტემაში შეესაბამება:

- (ა) 3
 - (ბ) 11
 - (გ) 17
 - (დ) 48
-

დავალება 25

ქსელური ჰაბისა (hub) და სვიჩის (switch) შესახებ გამოთქმული დებულებებიდან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) „ქსელური ჰაბი“ და „სვიჩი“ სინონიმური ტერმინებია.
 - (ბ) ქსელურ ჰაბს აქვს გარკვეული დამატებითი შესაძლებლობები სვიჩთან შედარებით.
 - (გ) სვიჩს აქვს გარკვეული დამატებითი შესაძლებლობები ქსელურ ჰაბთან შედარებით.
 - (დ) ქსელური ჰაბის და სვიჩის პორტების რაოდენობა ყოველთვის ლუწია.
-

დავალება 26

ბუნების მასწავლებლის დავალებით, VI კლასის მოსწავლემ რამდენიმე დღის განმავლობაში ფიქსირებულ დროს (ყოველდღიურად 9,12,15,18 და 21 საათებზე) ჰაერის ტემპერატურა გაზომა. მონაცემები მან თვალსაჩინოდ, პრეზენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს, რათა გაუადვილდეს კანონზომიერების აღმოჩენა.

რაოდენობრივი მონაცემების გამოსახვის რომელი ფორმა იქნება ყველაზე ადეკვატური აღწერილ ვითარებაში?

- (ა) ხაზოვანი გრაფიკი, რადგან გამოსახვის ამ ფორმის შემთხვევაში კარგად გამოჩნდება მონაცემების ცვალებადობის დინამიკა.
- (ბ) წრიული დიაგრამა, რადგან გამოსახვის ამ ფორმის დახმარებით მოსწავლე ადვილად შეამჩნევს მონაცემთა განაწილებას.
- (გ) წერტილოვანი დიაგრამა, რადგან გამოსახვის ამ ფორმის დახმარებით მოსწავლე შეძლებს ზუსტად წარმოადგინოს ყოველი მონაცემი.
- (დ) არეზიანი დიაგრამა, რადგან გამოსახვის ეს ფორმა სხვადასხვა კატეგორიის მონაცემების ასახვის საუკეთესო საშუალებაა.

დავალება 27

პერსონალური კომპიუტერების სიმცირის გამო მასწავლებელი იძულებულია დააწყვილოს მეექვსე კლასის მოსწავლეები და ამგვარად შეუქმნას მათ პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა. შექმნილ ვითარებაში ხშირია მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევა, რაც ართულებს კლასის მართვას.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი მიდგომა დაეხმარება პედაგოგს მოსწავლეთა უდისციპლინო ქცევის პრევენციაში?

- (ა) დააწყვილოს მოსწავლეები მათი უნარებისა და ცოდნის დონის მიხედვით: ძლიერები – ერთად, სუსტები – ერთად.
- (ბ) მრავალფეროვანი კომპიუტერული თამაშების გამოყენებით წახალისოს გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტიურობა.
- (გ) მოსწავლეთა წყვილებს შეურჩიოს საინტერესო დავალებები მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- (დ) მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავოს ქცევის წესები და წესის დამრღვევთათვის დააწესოს სანქციები.

დავალბა 28

დღესდღეობით პრაქტიკულად ყველა საგნის მასწავლებელი სასწავლო მიზნებისთვის იყენებს ინტერნეტში არსებულ რესურსს (სიახლეები, ილუსტრაციები, ვიდეოები და სხვ.) და სთხოვს მოსწავლეებს, თავადაც მოიძიონ ეს ინფორმაცია.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა დაეხმარება მოსწავლეს, სწრაფად მოძებნოს ინტერნეტში საჭირო ინფორმაცია „კატისებრთა ოჯახის“ შესახებ?

- (ა) „გახსენი ბრაუზერი. სამისამართო ველში ჩაწერე: „katisebrtaojaxi“ და დააჭირე თითი Enter კლავიშზე.“
- (ბ) „გახსენი ბრაუზერი და შედი საძიებო სისტემის ვებგვერდზე. საძიებო სტრიქონში აკრიფე: „კატისებრთა+ოჯახი“ და დააჭირე თითი Enter კლავიშზე.“
- (გ) „გახსენი ბრაუზერი. აკრიფე: „katisebrta.ojaxi“ და დააწკაპუნე ღილაკზე *Google ძებნა*.“
- (დ) „გახსენი Internet Explorer-ი, აკრიფე: „კატისებრნი OR კატისებრთა ოჯახი“ და დააწკაპუნე ღილაკზე *Google ძებნა*.“

გლობალური კომპიუტერული ქსელი ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ის მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი სფეროა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების დროს.

- განუმარტეთ მეხუთე კლასის მოსწავლეს, რას ნიშნავს კომპანიის ვებგვერდზე ჰაკერული შეტევა (*შეგიძლიათ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითი*).

 ჩაწერეთ:

ინფორმაციის საზომი ერთეულების შესწავლისას მეექვსე კლასის მოსწავლემ, სიგრძისა და მასის საზომი ერთეულების ანალოგიით, დაწერა, რომ 1 კილობაიტი = 1000 ბაიტს.

- დაეხმარეთ მოსწავლეს ჩანაწერის დაზუსტებაში და აუხსენით მას ორობით სისტემაში ინფორმაციის მოცულობის გამოსახვის თავისებურება.

~~და~~ ჩაწერეთ:


იმის გასარკვევად, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა გრაფიკული რედაქტორის Paint სხვადასხვა ფუნქციის გამოყენება, მასწავლებელმა დაავალა მათ შეექმნათ ნახატი თემაზე „რთველი“. ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევრის (იხ. სურათი 1) გადახედვის შემდეგ, მასწავლებელმა სთხოვა მას ერთი დეტალის (ბურთის) ამოღება ან წაშლა, და ნამუშევრის უფრო მეტად დაახლოება თემასთან - ბურთის ნაცვლად შემოდგომასთან ან რთველთან დაკავშირებული ობიექტის დახატვა/ჩასმა.

მოსწავლემ მონიშვნის ინსტრუმენტის დახმარებით გადააკეთა თავისი ნახატი (იხ. სურათი 2).


სურათი 1. მოსწავლის თავდაპირველი ნამუშევარი



სურათი 2. მოსწავლის შესწორებული ნამუშევარი



- შეაფასეთ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება და განმარტეთ, რა გააკეთა მოსწავლემ სწორად და რა – შეცდომით;
- აღწერეთ ერთი კონკრეტული გზა/ხერხი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთესი შედეგის მიღებაში.

 ჩაწერეთ:
